

ფემინისტური პოეზიის წარმომადგენლები ამერიკულ ლიტერატურაში
და მათი ქართული თარგმანები

(ემილი დიკინსონის, სილვია პლათისა და ენ სექსტონის ნამუშევრებზე
დაყრდნობით)

მარიამ ბარათაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

ს ა რ ჟ ე ვ ი:

შესავალი	5
1. ფემინისტური პოეზიის განვითარების ეტაპები მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ამერიკულ პოეზიაში	7
1.1.ფემინისტური პოეზიის ისტორია ფემინისტური მოძრაობების კვალდაკვალ.....	7
1.2.ფემინისტური პოეზიის თავისებურებები მეცხრამეტე საუკუნის ამერიკულ პოეზიაში(ემილი დიკინსონის შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები)	12
1.3. ცვლილებები მეოცე საუკუნის ამერიკულ პოეზიაში(სილვია პლათისა და ენ სექსტონის შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები)	16
2.პოეზიის თარგმნის ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები	31
2.1 პოეზიის თარგმნის თავისებურებები	31
2.2 ფემინისტური პოეზიის ქართული თარგმანების მახასიათებლები(ემილი დიკინსონის,სილვია პლათისა და ენ სექსტონის ქართული თარგმანების მიხედვით)	35
დასკვნა.....	42
გამოყენებული ლიტერატურა	44

აბსტრაქტი

ნაშრომის ძირითადი საკითხია ამერიკელი ფემინისტური პოეზიის წარმომადგენლების შემოქმედებისა და მათი ქართულენოვანი თარგმანების განხილვა ემილი დიკინსონის, სილვია პლათისა და ენ სექსტონის ნამუშევრებზე დაყრდნობით.

ნაშრომის მთავარი მიზანია გამოიკვლიოს მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ფემინისტური პოეზიის დამახასიათებელი ნიშნები და დაადგინოს ის ცვლილებები, რაც ამერიკულმა ფემინისტურმა პოეზიამ განიცადა საუკუნეების განმავლობაში. ასევე გამოიკვლიოს მათი ქართულენოვანი თარგმანები და დაადგინოს მათი თარგმნის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

ნაშრომის მიმდინარეობასთან ერთად მასში განხილილია მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ფემინისტური პოეზიის წარმომადგენლების შემოქმედებისა და მათი ქართული თარგმანების თავისებურებები.

საკითხის უფრო ღრმად განხილვასთან ერთად დაფიქსირდა რამდენიმე ძირითადი ტენდენცია, მათ შორის გამოიკვეთა, რომ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის პოეზიებს შორის ბევრ განსხვავებასთან ერთად შესამჩნევია მათი მსგავსებებიც, ასევე, შედარებით ადრეული, მეცხრამეტე საუკუნის ფემინისტი პოეტები ბევრად უფრო შეზღუდულნი იყვნენ მათი შემოქმედების საკითხებში მათს თანამედროვეებთან შედარებით. აგრეთვე გამოვლინდა ის პრობლემები, რომლებიც პოეზიის ქართულ თარგმანებს ახლავს თან.

ნაშრომის განვითარებასთან ერთად კი დადგინდა, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნული მჭიდროდაა კავშირში ეპოქებთან, როდესაც აღმნიშნული პოეტები მოღვაწეობდნენ, ამ ეპოქებში მიმდინარე მოვლენებთან და ასევე იმ ქვეყნების კულტურულ სახესხვაობებთან, რაც პოეზიის თარგმანს ახლავს თან.

ვინაიდან კვლევის პროცესში დადგინდა ფემინისტური პოეზიის ქართული თარგმანების ანალიზის სიმწირე, მოცემული ნაშრომი წარმოგვიდგება საფუძვლად კონკრეტული მიმართულებით კვლევის გაღრმავებისთვის.

ნაშრომი შეიცავს სარჩევს, ქართულ და ინგლისურ აბსტრაქტებს, შესავალს, ორ თავს, დასკვნასა და გამოყენებულ ლიტერატურას.

Abstract

The paper is devoted to examine the creative works of American feminist poets and their Georgian translations based on works of Emily Dickinson, Sylvia Plath and Ann Sexton.

The main purpose of the paper is to analyze the core characteristics of the nineteenth and twentieth century feminist poetry and to find out the changes that American feminist poetry went through the centuries. Also to examine their Georgian translations and to find out specifications of the translating process.

Throughout the paper there is discussed the works of nineteenth and twentieth century American poets, their specifications and the main characteristics of their Georgian translations. With a further examination of the paper there occurred several tendencies. Including that despite the differences of nineteenth and twentieth century poetry, there are also some similarities.

Compared to their later representatives the earlier feminist poets of the nineteenth century were more restricted in terms of the themes of their works.

Also there arose some issues in a relation of translating poetry into Georgian language.

As the paper progressed it showed that all of the above mentioned is closely attached to the period when the poets lived, to the occurring events of that time and the cultural differences that is related to the translation of the poems.

Since the research showed the lack of the work concerning the analyses of feminist poetry translations into Georgian, the paper is a base for deepening a research on that topic.

The paper includes a table of contents, Georgian and English abstracts, an introduction, two chapters, a conclusion and a reference list.